სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/33

ქ. თბილისი

5 მარტი 2021 წ.

სამაგისტრო ნაშრომის დისტანციურ რეჟიმში დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, “საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის №159323 ბრძანების, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ბექა მაისურაძის შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 05 მარტის №01-05-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) მაგისტრატურის სტუდენტს ბადრი ლალიაშვილს, რომელსაც დასრულებული აქვს სამაგისტრო ნაშრომი და საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება ნაშრომის დაცვაზე, მიეცეს უფლება დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით;
2. ფაკულტეტის დეკანმა უზრუნველყოს დაცვის პროცესის სრული აუდიოვიდეო ჩაწერა და ჩანაწერის ლაზერულ დისკზე (CD ან DVD) შენახვა, შესაბამისი ოქმის დანართის სახით;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**